საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 7 19 01004085

31/07/2019

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

გაცნობებთ, რომ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის (BFUG) ბუქარესტის 2019 წლის აპრილის შეხვედრაზე ორგანიზატორებმა წარმოადგინეს კონცეფცია - „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მომავალი: გვახსოვდეს წარსული, განვჭვრიტოთ მომავალი“, რომლის ძირითადი მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის **„მმართველობისა და თემატური პრიორიტეტების განსაზღვრა 2020 წლის შემდეგი პერიოდისათვის“.**

რა ძირითადი ცვლილებები/გაუმჯობესება იქნება აუცილებელი უმაღლეს განათლებაში, იმისთვის რომ 2030 წლისთვის უნივერსიტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა, ითამაშონ საკუთარი ფუნდამენტური როლი საზოგადოების ფორმირებაში; რა უნდა იყოს სამომავლო ძირითადი პრიორიტეტები? ეს ის ძირითადი თემებია, რომლებზეც გაკეთდება აქცენტი ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის რომის 2020 წლის მინისტერიალზე.

ბუქარესტის შეხვედრაზე შემოთავაზებული პრიორიტეტები დაჯგუფდა შვიდ ზოგად თემად, რომლებიცაა:

- უმაღლესი განათლების სოციალური როლი
- ჩართულობა უმაღლეს განათლებაში
- ინოვაციური, მოქნილი და სათანადო სწავლა და სწავლება
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა
- დიგიტალიზაცია
- ინტერნაციონალიზაცია და მობილობა
- მმართველობა და ავტონომია.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

დეტალური ინფორმაცია შემოთავაზებული პრიორიტეტების თაობაზე იხილეთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის სამდივნოს 28.06.2019წ. წერილში BFUG WORK ON VISION AND THEMATIC PRIORITIES AFTER 2020 (დანართი)

ამ კონსულტაციების მიზანი შემდეგია*:

- ასახოს ის გამოწვევები, რომელთაც სავარაუდოდ წააწყდება უმაღლესი განათლება მომავალში; როგორ და რა ინსტრუმენტების მეშვეობით უნდა მოემზადონ ქვეყნები და დაწესებულებები მათ გადასალახად.
- გადავწყვიტოთ, მოვახდენთ თუ არა აქცენტირებას უმცირესობათა პრიორიტეტებზე და განვსაზღვროთ ისინი.
- მოვახდინოთ თითოეული პრიორიტეტისათვის სამოქმედო გეგმის იდენტიფიცირება, ქვეყნის მიერ სამი შესაძლო აქტივობის შეთავაზებით.

გამოხმაურება
ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მომავლის თაობაზე

გთხოვთ, ა.წ. 23 აგვისტომდე მოგვაწოდოთ შესაბამისი გამოხმაურება, დოკუმენტები ან სხვა ინფორმაცია.

1. ორგანიზაციის დასახელება
2. მისამართი და საკონტაქტო პირი (ელ-ფოსტის მითითებით)
3. თანამშრომლებთან კონსულტაციის ფორმა
4. ვინ მოიცვა თქვენმა კონსულტაციამ
5. რამდენმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა
6. კონსულტაციის ძირითადი შედეგები
7. კონსულტაციების მასალების (ღონისძიების) ლინკი
8. რეკომენდაციები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მომავლის ზოგადი ხედვის მიმართ
9. დაგეგმილი სხვა საკონსულტაციო აქტივობები და ინფორმაცია მათ შესახებ
10. დამატებითი ინფორმაცია, რომლის მოწოდებაც გსურთ

დანართი: 8 გვერდი

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ნინო წერეთელი